საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

ბრძანება

02.02.2019 წ. ქ. თბილისი № 28

სს „სსე“-სათვის გაგრილების ფრთის ღვედისა და ღვედის დამჭიმის გამარტივებული წესით შესყიდვის თაობაზე

მიმდინარე წლის 7 თებერვალს სს „სსე“-ს შესყიდვების დეპარტამენტში შემოვიდა ტრანსპორტის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი #1558 გაგრილების ფრთის ღვედისა და ღვედის დამჭიმის შესყიდვის შესახებ.

წარმოდგენილი ინვოისის გათვალისწინებით გაგრილების ფრთის ღვედისა და ღვედის დამჭიმის ღირებულება შეადგენს 163 (ას სამოცდასამი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. სს „სსე“-ს შესყიდვების ერთიანი წლიური გეგმით ზემოაღნიშნული გაგრილების ფრთის ღვედისა და ღვედის დამჭიმის (CPV - 34300000) შეძენა ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვას, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით 20-25 დღე). ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანების შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტენდერის გამოცხადებისათვის განსაზღვრულია მოსაკრებელი 25 დან 50 ლარამდე, ხოლო პრეტენდენტის მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს. აღნიშნულს ემატება სატენდერო წინადადების 1%-იანი საგარანტიო უზრუნველყოფა. წინამდებარე შესყიდვაზე გასაწევი ადმინისტრაციული და ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით ამ ეტაპზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არ არის მიზანშეწონილი.

ფინანსური სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით, გაგრილების ფრთის ღვედისა და ღვედის დამჭიმის შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. გაგრილების ფრთის ღვედისა და ღვედის დამჭიმის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახსრების რაციონალური ხარჯვის მეთოდით.
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით დადგენილი წესის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს დ. ვარდიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით თვალაბეიშვილი
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.02.14 17:04:56 +04'00'